ხელშეკრულება №337/1

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(მომსახურების შესყიდვა)

ქ. გორი

24 ნოემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, **ს.ს.ი.პ - გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი (ს/კ 217881424)** წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნიკოლოზ კვირიკაშვილის** (შემდგომში -,,გამქირავებელი") სახით და მეორეს მხრივ **ს.ს.ი.პ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორ - განმკარგულებელის გიორგი თევზაძის ს/კ 203840530** (შემდგომში - ,,დამქირავებელი") სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3-ე პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, „სახელმწიფო თეატრების მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის N99 განკარგულების შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი :

1.1. ხელშეკრულების საგანია CPV 70200000 - **კერძო საკუთრების გაქირავება ან იჯარით გაცემა, კერძოდ:** ს.ს.ი.პ - გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დიდი დარბაზი მდებარე (ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ №24), სარგებლობაში ზ/ხსენებულ მისამართზე არსებული, ერთი დღით 2016 წლის 29 ნოემბერს 11:00 საათიდან 21:00 საათამდე და დამქირავებელი მოვალეა მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გადაიხადოს დაქირავებული ფართის ღირებულება.

1.2. დამქირავებელი უფლებამოსილია ამ მუხლის 1.1 პუნქტში მითითებულ დროს ისარგებლოს დაქირავებული ფართით.

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. დამქირავებელი უფლებამოსილია მხოლოდ ხელშეკრულების პირველ მუხლში დადგენილ დღეს თავისუფლად ისარგებლოს თეატრის დარბაზით.

2.2. დამქირავებელი პასუხისმგებელია სარგებლობის პერიოდში ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში გადაიხადოს ქირა და ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით უზრუნველყოს ქონების შესაბამისი მოვლა - პატრონობა;

2.3 დამქირავებელი ვალდებულია გამქირავებელს აუნაზღაუროს ზიანი, რომელიც გამოწვეულია დამქირავებლის ქმედებით (განზრახ) ან უმოქმედობით (გაუფრთხილებლობით).

2.4 დამქირავებელი ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტისას დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს ფართი და დაუბრუნოს გამქირავებელს იმ მდგომარეობაში, როგორიც მიიღო მან.

2.5 გამქირავებელი უფლებამოსილია დამქირავებელს მოსთხოვოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი მოთხოვნებისა და ხელშეკრულების პირობების ჯეროვნად შესრულება.

2.6 გამქირავებელი უფლებამოსილია ხელშეკრულების პირობებისა და ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი მოთხოვნათა შესაბამისად შეწყვიტოს ან/და მოშალოს ხელშეკრულება.

მუხლი 3. ქირა და მისი გადახდის წესი

3.1. ხელშეკრულების პირველი მუხლით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, დამქირავებელი ვალდებულია დაქირავებული ფართით სარგებლობისათვის გამქირავებელს გადაუხადოს თანხა 1000 (ერთი ათასი) ლარი.

3.2. თანხის გადახდა განხორციელდება უნაღდო ანგარისწორების წესით ეროვნულ ვალუტაში ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით.

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტა

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 დეკემბრამდე.

4.2 ხელშეკრულების მოქმედება შეწყვეტილად ითვლება თუ;

ა) მოხდება ხელშეკრულების მოშლა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) გავიდა ხელშეკრულების მოქმედების ვადა

დ) გამქირავებელს შეუძლია ხელშეკრულება მოშალოს ვადამდე, თუ დამქირავებელი დაქირავებულ ქონებას მნიშვნელოვნად აზიანებს ან ქმნის მნიშვნელოვანი დაზიანების რეალურ საშიშროებას.

მუხლი 5. მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებები

5.1. თუ დამქირავებელი ხელშეკრულების ურთიერთობის დამთავრების შემდეგ არ დააბრუნებს აღებულ ქონებას, მაშინ გამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს სხვა ზიანის ანაზღაურებაც.

მუხლი 6. დავა

6.1. მხარეთა შორის წარმოშობილი უთანხმოება და დავა პირველად უნდა გადაწყდეს ურთიერთ მოლაპარაკების გზით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან სადავო საკითხებზე დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2 მხარეებს უფლება აქვთ დავის გადასაწყვეტად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიმართონ სასამართლოს.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1 ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შესაძლებელია განხორციელდეს ამ ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მხოლოდ წერილობითი ფორმით.

7.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ შეიძლება შემცირდეს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება.

7.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე,ორ ეგზემპლიარად,რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

3. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„დამქირავებელი“	„გამქირავებელი”
ს.ს.ი.პ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი	ს.ს.ი.პგორისგ.ერისთავისსახელ.პროფ.სახელმწიფო დრამატული თეატრი.
ს/კ 203840530	მის: ქ.გორი ჭავჭავაძის ქ №24
მის: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N[1]17	ტელეფონი: 27-33-06
ანგ.N708167170	საიდენტიფიკაციო კოდი: 217881424
სახელმწიფო ხაზინა	სახელმწიფო ხაზინა : 708307019
დირექტორ-განმკარგულებელი გიორგი თევზაძე	თეატრის დირექტორი ნიკოლოზ კვირიკაშვილი

გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის

მიღება- ჩაბარების აქტი

ქ.გორი 30.11. 2016 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი: ერთის მხრივ სსიპ გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორმა **ნიკოლოზ კვირიკაშვილმა**, ხოლო მეორეს მხრივ **ს.ს.ი.პ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორ - განმკარგულებელმა გიორგი თევზაძემ** შევადგინეთ ეს აქტი მასზედ, რომ 2016 წლის 24 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით პირველმა მხარემ გადასცა ხოლო მეორე მხარემ მიიღო სსიპ გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის (დიდი) დარბაზი (ერთი დღით) **2016 წლის 29 ნოემბერს 11:00 საათიდან 21:00 საათამდე,** რომლის ანაზღაურება ხელშეკრულების მიხედვით შეადგენს **1000 (ერთი ათასი)** ლარი.

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ.

წინამდებარე მიღება - ჩაბარების აქტი გაფორმებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა მხარეებს.

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ ჩვენი ხელმოწერით

გადასცა:

სსიპ გორის გიორგი ერისთავის სახელობის

პროფესიული სახელმწიფო

დრამატული თეატრის დირექტორი: / / **ნიკოლოზ კვირიკაშვილი**

მიიღო:

ს.ს.ი.პ შოთა რუსთაველის სახელობის
სახელმწიფო თეატრის
დირექტორ - განმკარგულებელმა / **გიორგი თევზაძე**